



კვირის მიმოხილვა


კვირის მიმოხილვა | საქართველო
30 დეკემბერი, 2019

ეკონომიკა

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2019 წლის მე-3 კვარტალში პროფიციტული იყო და მშპ-ის 0.4% შეადგინა (16.5 მლნ აშშ დოლარი) ეროვნული ბანკის მონაცემებით. ამასთან, მიმდინარე ანგარიშის კომპონენტებიდან საქონლის სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 4.8%-ით (943.7 მლნ აშშ დოლარი, მშპ-ის 20.5%), მომსახურებით ვაჭრობის დადებითი ბალანსი წლიურად 9.5%-ით შემცირდა და 845.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის 18.4%), მიმდინარე ტრანსფერების დადებითი სალო 348.9 მლნ აშშ დოლარი იყო (+12.7% წ/წ, მშპ-ის 7.6%), ხოლო შემოსავლების უარყოფითი ანგარიში 2.7%-ით შემცირდა და 234.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის 5.1%). წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 356 მლნ აშშ დოლარი იყო (+16.1% წ/წ, მშპ-ის 7.7%) და მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ჯამურად, 2019 წლის პირველ ცხრა თვეში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მნიშვნელოვნად შემცირდა და 352 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის 2.7%).

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2019 წლის ნოემბერში წლიურად 20.2%-ით გაიზარდა და 31.4 მლრდ ლარი შეადგინა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდა 14.5% იყო). ამასთან, საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2019 წლის ნოემბერში წლიურად 19.4%-ით გაიზარდა 26.3 მლრდ ლარამდე (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით ზრდა 14.5% იყო). 2019 წლის ნოემბერში დეპოზიტების დოლარიზაციამ 63.9% (-0.0333 წ/წ და +0.0433 თ/თ), ხოლო სესხების დოლარიზაციამ 55.4% (-1.2433 წ/წ და +0.1233 თ/თ) შეადგინა. საანგარიშო პერიოდში უმოქმედო სესხები 2.6%-ს გაუტოლდა (-0.2733 წ/წ და -0.1133 თ/თ).

სესხების და დეპოზიტების დოლარიზაცია




წყარო: სეზ

ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.9%	4.8%	4.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	10,511	11,485	12,417
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,062	4,359	4,722
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.8%	6.7%	1.5%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.8	3.0	3.3
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	12.4%	8.1%	6.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.9%	2.7%	2.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	40.3%	39.4%	38.9%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარტი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: სასტატისტიკო

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB სტაბილური განახლებული ოქტომბერი-2019	Moody's INVESTORS SERVICE Ba2 სტაბილური დადასტურებული სექტემბერი-2019	FitchRatings BB სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2019
--	---	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 2.3 მლრდ ლარის (789.7 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2019 წლის 24 დეკემბერს 5-წლიანი 70 მლნ ლარის (24.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.418% შეადგინა.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 4.27%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 105.59 (+0.03% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 98.41 (+0.11% წინა კვირასთან შედარებით), 6.56%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 104.62 (+0.15% წინა კვირასთან შედარებით), 3.15%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 110.10 ფასად (-0.08% წინა კვირასთან შედარებით), 3.58%-იანი შემოსავლიანობით.


საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 105.60 (+0.03% წინა კვირასთან შედარებით), 2.41%-იანი შემოსავლიანობით.

ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევრობლიგაციები



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევრობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	105.60	2.41	72.46
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	110.00	3.58	186.41
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	BB/B+/-	104.62	3.15	142.80
GEBGG 06/20	GEL	500	11.000%	Jun-20	BB-/B+/-	n/a	n/a	n/a
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/B+/-	105.69	4.27	259.32
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/B+/-	105.20	10.15	798.17
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-B+/B2	98.41	6.56	488.36
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B+/-/B1	111.72	7.71	588.32
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/B+/-	103.42	4.89	319.62
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/B+/-	102.61	10.52	835.29

ადგილობრივი ობლიგაციები

GWP 12/21	GEL	30	11.00%	Dec-21	BB-/B+/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.94	7.00	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.31	7.00	n/a
GLC 08/20	US\$	10	7.00%	Aug-20	B+/-/B+/-	101.30	5.00	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/-/B+/-	100.00	6.50	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/-/B+/-	100.76	7.00	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	11.50%	Feb-21	B-/B+/-	99.75	12.75	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	11.00%	Apr-24	B+/-/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	10.50%	Dec-23	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	14.00%	Sep-21	B-/B+/-	100.00	13.25	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთი ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Baa2	105.60	2.41	72.46
Armenia	US\$	500	6.000%	Sep-20	BB-/Baa3	102.33	2.83	94.45
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/Baa2	99.98	2.83	113.61
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	107.02	4.47	280.63
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	107.53	2.21	52.29
Russia	US\$	3,500	5.000%	Apr-20	BBB/BBB-/Baa3	101.13	1.56	-33.39
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B1	103.07	3.10	131.21
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/Caa1	106.07	3.95	217.23

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 16.35 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.18% წინა კვირასთან შედარებით და +14.02% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 91 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 16.11 – 16.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 76 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 9.30 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.23% წინა კვირასთან შედარებით და -1.06% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 105 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.26 – 9.58 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 51 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 13.06 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.31% წინა კვირასთან შედარებით და +4.98% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 85 ათასს გადააჭარბა, GBP 12.86 – 13.28 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 41 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 1.41 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -9.74% წინა კვირასთან შედარებით და -15.67% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 74 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 1.41 – 1.60 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 78 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)





აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Bank of Georgia	BGEO	GBP	16.35	804	8.7%	24.7%	18.7%	6.35x	6.07x	1.53x	1.22x
TBC	TBC	GBP	13.06	718	-17.8%	-6.8%	-14.2%	5.47x	5.10x	1.01x	0.89x
Halyk Bank	HSBK	US\$	13.25	3,894	3.1%	32.5%	28.0%	4.97x	4.92x	1.15x	1.04x
VTB Bank	VTBR	US\$	1.47	9,520	14.1%	33.5%	32.6%	3.75x	3.57x	0.67x	0.43x
Akbank	AKBNK	TRY	8.22	42,744	23.1%	40.3%	39.7%	7.89x	5.38x	0.83x	0.72x
Garanti	GARAN	TRY	11.06	46,452	23.6%	37.1%	38.9%	7.20x	4.98x	0.85x	0.75x
Isbank	ISCTR	TRY	6.27	28,215	5.6%	42.2%	38.4%	5.01x	3.94x	0.51x	0.45x
PKO	PKO	PLN	34.54	43,175	-19.6%	-12.3%	-12.5%	9.72x	9.35x	1.03x	1.00x
PEKAO	PEO	PLN	101.15	26,549	-9.8%	-6.7%	-7.2%	11.82x	10.16x	1.13x	1.09x
Millennium	MIL	PLN	5.85	7,096	-37.7%	-33.7%	-34.0%	9.19x	8.11x	0.78x	0.72x
Mbank	MBK	PLN	388.20	16,435	-10.8%	-4.4%	-8.5%	13.19x	11.79x	1.00x	0.94x
BRD	BRD	RON	15.80	11,011	25.4%	37.6%	38.6%	7.12x	9.31x	1.37x	1.41x
Banca Transilvania	TLV	RON	2.59	13,509	18.9%	40.4%	39.9%	7.23x	8.99x	1.50x	1.50x
OTP	OTPD	USD	21.20	11,872	0.0%	8.2%	8.2%	9.05x	8.76x	0.78x	0.68x
Komerční	KOMB	CZK	830.00	157,741	-7.7%	-2.4%	-2.0%	10.45x	11.19x	1.50x	1.44x
საშუალო								7.89x	7.44x	1.04x	0.95x
მედიანა								7.23x	8.11x	1.01x	0.94x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Georgia Capital	CGEO	GBP	9.30	342	-12.3%	-8.4%	-8.9%	13.08x	10.26x	0.94x	0.88x
Tinc Comm	TINC	EUR	13.30	363	7.6%	15.8%	16.3%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabancı Holding	SAHOL	TRY	9.46	19,302	11.7%	26.1%	25.8%	5.13x	4.19x	0.59x	0.50x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	38.25	575	14.9%	13.2%	14.0%	14.09x	18.08x	1.26x	1.21x
Eurazeo	RF	EUR	61.70	4,860	1.0%	8.0%	4.8%	14.97x	12.38x	0.91x	0.87x
Carlyle Group	CG	USD	31.22	3,455	40.8%	95.1%	98.2%	17.87x	6.84x	3.64x	2.16x
საშუალო								13.03x	10.35x	1.47x	1.12x
მედიანა								14.09x	10.26x	0.94x	0.88x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		EV/EBITDA	
								2019F	2020F	2019F	2020F
GHG	GHG	GBP	1.41	186	-41.8%	-32.7%	-30.8%	14.37x	10.37x	6.45x	5.54x
Mouwasat	MOUWASAT	SAR	89.50	8,950	-0.4%	10.9%	11.2%	23.09x	20.25x	15.76x	14.15x
Fortis	FORH	INR	131.35	99,164	1.2%	-2.1%	-6.5%	1.64x	1.46x	6.37x	6.47x
Raffles	RFMD	SGD	1.01	1,846	-2.9%	-9.0%	-8.2%	30.91x	30.66x	19.64x	18.80x
IHH	IHH	MYR	5.76	50,538	-0.7%	5.7%	6.9%	57.22x	43.48x	16.46x	14.82x
Bangkok Chain	BCH	THB	17.00	42,394	3.7%	0.0%	1.8%	35.09x	31.18x	19.04x	17.41x
Netcare	NTC	ZAR	19.56	28,398	8.8%	-24.5%	-26.0%	13.97x	14.26x	8.28x	7.51x
Life Healthcare	LHC	ZAR	24.93	36,581	10.4%	-0.4%	-5.6%	22.69x	16.64x	8.97x	7.66x
Mediclinic	MDC	GBP	4.11	3,029	35.3%	32.0%	27.4%	15.42x	15.90x	9.66x	9.14x
Apollo Hospitals	APHS	INR	1,418.10	197,293	8.0%	14.1%	12.7%	69.51x	54.44x	21.61x	15.60x
KPJ Healthcare	KPJ	MYR	0.94	4,028	-0.5%	-9.6%	-9.6%	21.47x	19.87x	10.00x	9.77x
NMC	NMC	GBP	17.36	3,624	-27.7%	-35.6%	-36.5%	14.93x	11.51x	10.48x	8.86x
საშუალო								26.69x	22.50x	12.73x	11.31x
მედიანა								22.08x	18.25x	10.24x	9.46x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადდეს რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადდეს ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge